



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

საქმე “კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”

(საჩივრის № 1484/07)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 2 ოქტომბერი

საბოლოო გახდა

02/01/2013

*წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ
გადასინჯვას.*

საქმეზე კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მესამე სექცია) პალატამ,
შემდეგი შემადგენლობით:
ჯოზეპ კასადევალი, თავმჯდომარე,
ეგბერტ მაიერი,
კორნელიუ ბირსანი,
ალვინა გულუმიანი,
იან სიკუტა,
ლუის ლოპეს გუერა,
ნონა წოწორია, მოსამართლეები,
და *სანტიაგო კესადა*, სექციის განმწესრიგებელი,
2012წ. 11 სექტემბერს გამართული დახურული თათბირის შემდეგ, გამოიტანა
შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია საქართველოს ხუთი მოქალაქის, ბ-ნი *ირაკლი კაკაბაძის* („პირველი განცხადებელი“), ბ-ნი *ლამა ჩხარტიშვილის* („მეორე მომჩივანი“), ბ-ნი *ჯაბა ჯიშკარიანის* („მესამე მომჩივანი“), ბ-ნი *ზურაბ რთველიაშვილისა* („მეოთხე მომჩივანი“) და ბ-ნი *დავით დალაქიშვილის* („მეხუთე მომჩივანი“) მიერ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2006წ. 28 დეკემბერს, სასამართლოში, საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი საჩივარი (№1484/07).

2. მომჩივნებს წარმოადგენდნენ ადვოკატები: ქ-ნი *სოფიო ჯაფარიძე* და ქ-ნი *ნათია კაციტაძე*, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წევრები თბილისში, ასევე ბ-ნი *ფილიპ ლიჩი* - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული საადვოკატო ცენტრიდან (EHRAC), ლონდონში. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი *ლევან მესხორაძე*.

3. 2009წ. 2 ნოემბერს, სასამართლომ გადაწყვიტა, მომჩივანთა მიერ, კონვენციის მე-5 (§1), მე-6 (§§ 1 და 3 „c“), მე-10, მე-11 და №7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების მთავრობისთვის ცნობება. სასამართლომ ასევე გადაწყვიტა საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვა (მუხლი 29§1).

4. მხარეებმა წარმოადგინეს საკუთარი პოზიციები კომუნიცირებული პრეტენზიების მისაღებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებით (სასამართლოს რეგლამენტის 54 „ა“ მუხლი).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მომჩივნები დაიბადნენ შესაბამისად, 1969, 1980, 1985, 1967 და 1984 წლებში და ცხოვრობენ თბილისში. ისინი არიან 2004 წლის თებერვალში დაფუძნებული ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის, „თანასწორობის ინსტიტუტის“ („NGO“) წევრები. ვინაიდან NGO-ს საქმიანობის ნაწილს შეადგენდა სამართალდამცავი და სასჯელაღსრულების ორგანოების მონიტორინგი და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაძლიერება, მან გამართა საჯარო პრესკონფერენციები და ქუჩის აქციები, რომლის დროსაც მისი წევრები ამხელდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვადასხვა მძიმე შემთხვევებს, რომლებსაც სავარაუდოდ ჩადიოდა შინაგან საქმეთა სამინისტრო და მსგავს შემთხვევებს ასევე ადგილი ჰქონდა ქართულ ციხეებში.

ა. 2006 წლის 29 ივნისის ინციდენტი

6. 2006წ. 29 ივნისს, დაახლოებით დღის 2 საათსა და 20 წუთზე, მომჩივნებმა დაიწყეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გარეთ დემონსტრაციის გამართვა, რათა გამოეხატათ მხარდაჭერა *შალვა რამიშვილისა* და *დავით კობრეიძის* - კერძო სატელევიზიო არხის, „202“-ის მფლობელებისთვის, რომელთა სასამართლო პროცესი იმართებოდა იმ დღეს. იმ დროისთვის, რამიშვილისა და კობრეიძის საქმე საზოგადოების დიდი ყურადღების საგანს წარმოადგენდა (დაწვრილებითი ინფორმაციისთვის, იხ. საქმე „*რამიშვილი და კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ*“, № 1704/06, §§ 9-66, 2009 წ. 27 იანვარი).

7. როგორც მომჩივანთა 2006წ. 4 და 5 ივლისის წერილობითი განცხადებებიდან გახდა ცნობილი, 2006წ. 29 ივნისის ინციდენტის ირგვლივ არსებული ზუსტი გარემოებების გახსენებისას („მომჩივანთა წერილობითი განცხადებები“), ისინი შევიდნენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში, დაცვამ შენიშნა, რომ ერთ-ერთ მომჩივანს თან ჰქონდა მეგაფონი, მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. მომჩივნები სასამართლოს შენობიდან 10-20 მეტრის დაშორებით შეჩერდნენ და პირველმა, მომჩივანმა მეგაფონის გამოყენებით, შემდეგი მოწოდება გააჟღერა:

“ჩვენ არ უნდა გვყავდეს პოლიტიკური პატიმრები საქართველოში“... ჩვენ გირჩევთ აღასრულოთ სამართალი და არ დააკმაყოფილოთ მაღალი თანამდებობის პირების კერძო ინტერესები! ... სამართლიანობა ან სიკვდილი! ...“

8. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ სიტუაცია 1930-იანი წლების დასასრულს, საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული ტერორის მსგავსი იყო, პირველმა მომჩივანმა

დამცინავად მიმართა შს მინისტრს, ვ.მ.-ს და „ლავრენტი ბერიას ნაბიჭვარი“ უწოდა. მეოთხე და მეხუთე მომჩივნების წერილობითი განცხადებების თანახმად, მათ აგრეთვე მოითხოვეს რამიშვილისა და კოხრეიძის, როგორც უკანონოდ დაკავებულების, დაუყოვნებლივ გათავისუფლება, და მოუწოდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს, „არ გამხდარიყო [შს მინისტრის] კრიმინალური ქმედებების თანამონაწილე.“

9. მომჩივანთა თანახმად, სასამართლოსთან მიმართებაში არაფერი თქმულა ისეთი, რაც შეიძლება შეურაცხყოფად ყოფილიყო მიჩნეული. აღნიშნულის დადასტურება შეიძლება ინციდენტის დამოუკიდებელი მოწმეების მიერ, ასევე კერძო ტელევიზის, „202-ის“ მიერ გადაღებული კადრებით (იხ. მომჩივნების მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი ქვემოთ, §§ 23-27).

10. პირველი მომჩივნის სიტყვა გაგრძელდა დაახლოებით სამ წუთს, როდესაც რამდენიმე ფორმიანი სასამართლოს მანდატური მიუახლოვდა მომჩივნებს და სავარაუდოდ, წინასწარი გაფრთხილების ან განმარტების გარეშე, ძალის გამოყენებით მოახდინეს მათი დაკავება. ამის შემდეგ, მომჩივნები წაიყვანეს სასამართლოს შენობაში და ჩაკეტეს სამორიგეო ოთახში.

11. მომჩივანთა წერილობითი განცხადებების თანახმად, მათი დაკავების ადგილზე დაკავების ოქმები არ შედგენილა. ნებისმიერ შემთხვევაში, მსგავსი დოკუმენტი მომჩივნებს არ უნახავთ და მასზე ხელი არ მოუწერიათ. მანდატურები მათ ეუბნებოდნენ, რომ ისინი არ იყვნენ ოფიციალურად დაკავებულნი, რომ ეს იყო უბრალო გაუგებრობა და მათ მალე გაათავისუფლებდნენ.

12. თუმცა, საქმის მასალები შეიცავს თითოეული მომჩივნის დაკავების ხუთ ოქმს. ოქმებში აღნიშნულია მანდატურისა და მომჩივნის ვინაობა, დაბადების თარიღი, მისამართი და პირადობის მოწმობის ნომერი. დოკუმენტებიდან ასევე ირკვევა, რომ მომჩივნები დააპატიმრეს დაახლოებით დღის 2 საათსა და 20 წუთზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997წ. 13 ივნისის კანონის 76-ე ((3) §1 „ვ“)) მუხლის საფუძველზე. კერძოდ, აღნიშნულმა პირებმა „დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი“; რამაც მიიღო „სასამართლოს შეურაცხყოფის, მანდატურთა მიმართ უპატივცემულობის, უკანონო მოთხოვნების, რაც გულისხმობდა სასამართლოსადმი მოწოდებას, შეეწყვიტა მსგავსი მოქმედება, მანდატურისთვის წინააღმდეგობის გაწევის, სიტყვიერი და ფიზიკური ქმედებებით სასამართლოზე გავლენის მოხდენის, მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლისა და ა.შ.“ ფორმა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარესა და პოლიციას მაშინვე შეატყობინეს სამართალდარღვევის ჩადენისა და მომჩივანთა დაკავების შესახებ.

13. მომჩივანთა მტკიცებით, მათი დაკავების ოქმები შედგენილ და საქმეზე დართულ იქნა *ex post factum*.

14. სამი საათის განმავლობაში, მომჩივნები სააპელაციო სასამართლოს სამორიგეო ოთახში იყვნენ ჩაკეტილები და არ ჰქონდათ ინფორმაცია დაკავების მიზეზების შესახებ. ამის შემდეგ, პოლიციამ ისინი გადაიყვანა შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში, საქმის მასალები შეიცავს ამონაწერს შესაბამისი იზოლატორის სარეგისტრაციო ჟურნალიდან, საიდანაც ირკვევა, რომ მეოთხე მომჩივანი იზოლატორში 5 საათსა და 45 წუთზე შევიდა.

15. საქმის მასალები აგრეთვე შეიცავს სამი მანდატურის მოხსენებით ბარათებს, რომლებიც მონაწილეობდნენ მომჩივანთა დაკავებაში. აღნიშნული მოხსენებითი ბარათები ნახევარგვერდიანი, ხელით ნაწერი დოკუმენტებია, რომლებიც შეიცავს მსგავს ფრაზებს და მანდატურები მიმართავენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მანდატურთა სამსახურის უფროსს. შესაბამისად, ამ დოკუმენტების მიხედვით, მომჩივნები „იდგნენ სასამართლოს მოქალაქეთა შესასვლელთან ახლოს, დაახლოებით დღის 2 საათსა და 20 წუთზე“; მოითხოვდნენ „პოლიტიკურ პატიმართა გათავისუფლებას“ და „შეურაცხყოფას აყენებდნენ სასამართლოს თავიანთი სიტყვებითა და ქმედებებით.“ ერთ-ერთი მანდატური თავის მოხსენებით ბარათში აღნიშნავს, რომ მომჩივნები თავიანთი ქმედებებით შეურაცხყოფას აყენებდნენ სასამართლოს დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, მაშინ როდესაც მეორე მანდატურის თქმით, აქციის მონაწილეები გავლენას ახდენდნენ სასამართლოზე. სამივე მანდატური აცხადებს, რომ ვიდრე მიმართავდნენ დაკავების ღონისძიებას, მათ სთხოვეს მომჩივნებს, შეეწყვიტათ ეს არეულობა.

16. მომჩივნებმა წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაყვანისას შეიტყვეს, რომ ისინი თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006წ. 29 ივნისის განკარგულების საფუძველზე იყვნენ დაკავებულები.

ბ. 2006 წლის 29 ივნისის განკარგულება

17. 2006წ. 29 ივნისის ერთგვერდიანი განკარგულებიდან ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, ქ-ნმა ე.ტ.-მ საჯარო და ზეპირი მოსმენის გარეშე, მხოლოდ მანდატურების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის („სსსკ“) 208-ე (§ 6(1)) მუხლის საფუძველზე, მიიღო გადაწყვეტილება მომჩივანთა 30 დღით დაპატიმრების შესახებ. აქედან გამომდინარე, მან მხედველობაში მიიღო 2006წ. 29 ივნისის ინციდენტთან დაკავშირებული ვერსია (იხ. §15 ზემოთ), კერძოდ ის რომ „[მომჩივნები], რომლებიც იყვნენ სასამართლო შენობის შიგნით, ცენტრალურ შესასვლელში, არღვევდნენ საზოგადოებრივ წესრიგს, ხელს უშლიდნენ სასამართლოს ნორმალურ ფუნქციონირებას, ზეწოლას ახდენდნენ სასამართლოზე კონკრეტული საქმის განხილვის მიმდინარეობისას.“

18. 2006წ. 29 ივნისის განკარგულების სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნულია, რომ განკარგულება არ საჩივრდება, რომ მომჩივნებმა უნდა მოიხადონ სასჯელი შს სამინისტროს წინასწარი დაკავების №2 იზოლატორში (იხ. §16 ზემოთ) და რომ თბილისის საპატრულო პოლიციის სამმართველო პასუხისმგებელია განკარგულების შესრულებაზე.

გ. მოვლენათა შემდგომი განვითარება

19. 2006წ. 21 ივლისს, მომჩივნებმა, მხედველობაში მიიღეს რა სსსკ-ის 208-ე (§7) მუხლის მოქმედების შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლოს 2006წ. 20 ივლისის გადაწყვეტილებით (იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2006წ. 15 დეკემბრის გადაწყვეტილება, §§ 42-47) და ამტკიცებდნენ რა, რომ მათი დაკავება იყო ადმინისტრაციული სასჯელი, მოითხოვეს, რომ უზენაეს სასამართლოს განეხილა მათი სარჩელი 2006წ. 29 ივნისის განკარგულების წინააღმდეგ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის („ასკ“) 279-ე მუხლის თანახმად. ისინი ასაჩივრებდნენ იმ ფაქტს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ გამოიტანა არასწორი განკარგულება, დასაჯა რა მომჩივნები სსსკ-ის 208-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ ქმედებებისთვის, რომლებიც ხდება სასამართლოს შენობის შიგნით, მომჩივანთა აქციის ვიდეოჩანაწერი წარმოდგენილ იქნა იმის საჩვენებლად, რომ აქცია გაიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში. აქედან გამომდინარე, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ზემოხსენებული დებულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრალდებისა და დაპატიმრების ლეგიტიმურ საფუძველად. ისინი შემდგომ აცხადებდნენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დაარღვია სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპი, მიიღო რა გადაწყვეტილება მხოლოდ მანდატურების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. მომჩივნებმა ასევე გაასაჩივრეს ის ფაქტი, რომ თავმჯდომარემ, სსსკ 208-ე მუხლიდან გამომდინარე, შეარჩია ყველაზე მკაცრი სანქცია.

20. 2006წ. 26 ივლისს, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ზ.მ.-მ მომჩივანთა დაუსწრებლად განიხილა და არ დააკმაყოფილა მათი 2006წ. 21 ივლისის სარჩელი. აღნიშნული განხილვის თარიღი მომჩივნებს წინასწარ არ ეცნობათ.

21. როგორც 2006წ. 26 ივლისის გადაწყვეტილებიდან ირკვევა, მოსამართლე ზ.მ.-მ პირველად აღნიშნა, რომ სსსკ-ის 208-ე (§7) მუხლის შეჩერება ავტომატურად არ აძლევდა უფლებას მომჩივნებს, გაესაჩივრებინათ მათი დაკავება. თუმცა, იმის აღიარებით, რომ მათი დაკავება, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, იყო ადმინისტრაციული სასჯელი, მან გადაწყვიტა, რომ 2006წ. 21 ივლისის სარჩელი სასჯელის წინააღმდეგ შეიძლება განხილულიყო ასკ-ის 279-ე მუხლის საფუძველზე. მოსამართლე ზ.მ.-მ გააგრძელა მომჩივანთა კრიტიკა მათი მხრიდან გამოხატვის თავისუფლების უფლების ბოროტად გამოყენების გამო. საქმის მასალების საფუძველზე, მან დაადგინა, რომ თავიანთი ქმედებებით, მომჩივნებმა ნამდვილად გამოავლინეს „პირდაპირი და უხეში უპატივცემულობა“ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართ „სასამართლოს შენობის შიგნით, კერძოდ მის ცენტრალურ შესასვლელში“. ნებისმიერ შემთხვევაში, ასკ-ის 208-ე (§6(1)) მუხლის მიზანს, მოსამართლე ზ.მ.-ს აზრით, წარმოადგენდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა არამარტო სასამართლოს შენობის შიგნით, აგრეთვე მის გარეთ, მიმდებარე ტერიტორიაზეც. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს არ ჰქონდა სხვა არჩევანი, მომჩივანთა მიმართ სსსკ-ის 208-ე (§6(1)) მუხლით გათვალისწინებული

სანქციის გამოყენების გარდა, ვინაიდან მოცემულ სიტუაციაში საფრთხის ქვეშ იყო „არა მოსამართლის პირადი ინტერესი, არამედ სასამართლოს უფლებამოსილება და შესაბამისი მართლმსაჯულების აღსრულება“. იმ პრეტენზიის პასუხად, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მხოლოდ ერთი მხარის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლე ზ.მ.-მ დაადგინა, რომ ყველა მტკიცებულება - მომჩივანთა დაკავების ოქმები და მოხსენებითი ბარათები - მანდატურთა მიერ შედგენილ და თავმჯდომარისთვის განსახილველად წარდგენილ იქნა კანონით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. მოსამართლე ზ.მ.-მ აგრეთვე დაადგინა, რომ 30 დღიანი პატიმრობა იყო სრულიად შესაბამისი სასჯელი ჩადენილი ქმედებების სიმძიმიდან გამომდინარე.

22. მომჩივანთა პატიმრობის პერიოდი ამოიწურა და ისინი 2006წ. 28 ივლისს გათავისუფლდნენ.

დ. 2006 წლის 29 ივნისის ინციდენტის ვიდეოჩანაწერი

23. ჩანაწერი წარმოადგენს 2006წ. 29 ივნისის ინციდენტთან დაკავშირებული სატელევიზიო პროგრამის ნაწილს, რომელიც მომზადებულია სატელევიზიო არხის - „202-ის“ მიერ.

24. პირველი სცენა მოკლედ გვიჩვენებს რამდენიმე ფორმიან მანდატურს, რომლებიც ავიწროვებენ რამდენიმე მომჩივანს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში. პირველ მომჩივანს, რომელსაც უჭირავს მეგაფონი, მანდატური უბიძგებს სასამართლოს შენობის ცენტრალური შესასვლელის მიმართულებით. კადრის ბოლოს, მამაკაცის ხელი ეფარება კამერის ობიექტივს.

25. პროგრამის შემდეგ ეპოზოდში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე, ქ-ნი ე.ტ. ჩანს პრესკონფერენციაზე, რომელიც ეხება მომჩივანთა დაკავებას. მან განაცხადა:

(“... ხუთ მონაწილეს ამ აქციის, ... რომლებმაც ასეთი პირდაპირი და უხეში უპატივცემულობა გამოხატეს სასამართლოს მიმართ და დაარღვიეს წესრიგი სასამართლოში ... მე გამოვიყენებ ჩემი განკარგულებით ოცდაათდღიანი დაპატიმრების ფორმას მათ მიმართ და ეს იქნება კიდევ ერთხელ კარგი მაგალითი იმისათვის, რომ პატივისცემის გამოხატვა სასამართლოს მიმართ და სასამართლოში წესრიგის დაცვა იქნება ძალიან მკაცრად დაცული.”)

26. პროგრამის წამყვანმა აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობის დაკავებამდე, ქ-ნი ე.ტ. იყო შს მინისტრის ბ-ნი ვ.მ.-ის მოადგილე.

27. გადაცემის დარჩენილ ნაწილში ნაჩვენებია მომჩივნების ადვოკატებისა და მხარდამჭერების ინტერვიუები, ზოგიერთი მათგანი აცხადებს, რომ მომჩივნები არ უნდა დაეკავებინათ სსსკ-ის 208-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან მათ აქცია სასამართლოს შენობის გარეთ გამართეს.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

ა. 1997 წ. 13 ივნისის კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით

28. 76-ე ((3) §1)) მუხლი ეხება სასამართლოს მანდატურთა უფლებებსა და მოვალეობებს:

„1. სასამართლოს მანდატური:

ა) უზრუნველყოფს მოსამართლეების, სასამართლო პროცესის მონაწილეებისა და მოწმეების უსაფრთხოებას;

ბ) ახორციელებს სასამართლოში და სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას;

გ) ასრულებს სასამართლოს თავმჯდომარისა და სასამართლო სხდომის თავმჯდომარის მითითებებს წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;

დ) იცავს სასამართლოს შენობას;

ე) ამოწმებს სასამართლო პროცესის დაწყებისათვის სასამართლო სხდომის დარბაზის მზადყოფნას ... ;

ვ) აღკვეთს სასამართლოში სამართალდარღვევას, ავლენს სამართალდამრღვევს, და აუცილებლობის შემთხვევაში აკავებს მას პოლიციისათვის გადაცემის მიზნით და ადგენს ამის თაობაზე დაკავების ოქმს;

ზ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“

29. 76-ე ((3) §2 „ა“)) მუხლი მანდატურს ანიჭებს უფლებას, თავისი მოვალეობის შესრულებისას გამოიყენოს ფიზიკური ძალა, „სპეციალური აღჭურვილობა“ და ცეცხლსასროლი იარაღიც კი. 76-ე ((4) §§ 1 და 4)) მუხლში განსაზღვრულია, რომ აღნიშნული უფლება შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეზღუდვისას ნაკლებად მკაცრი ზომები არაეფექტიანი გამოდგა და მანდატურები ვალდებულნი არიან, სიტყვიერი გაფრთხილება მისცენ პირებს ძალის გამოყენებამდე.

ბ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი („სსსკ“) შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით

30. 208-ე მუხლი, რომლის საფუძველზეც მომჩივანთა მიმართ გამოიყენეს სანქცია 2006 წ. 29 ივნისის გადაწყვეტილებით, შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 208. სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა

1. სასამართლოში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე ... ;

2. სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება

პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა.

6. თუ სასამართლო სხდომაზე პირი გამოხატავს აშკარა ან/და უხეშ უპატივცემულობას, სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია გამოიტანოს განკარგულება ამ პირის 30 დღე-დამემდე ვადით პატიმრობის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს.

6(1). სასამართლოს შენობის შიგნით წესრიგის დარღვევის ან უპატივცემულობის ჩადენის შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, დამრღვევის მიმართ გამოიყენოს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული ზომები.

7. ამ მუხლით გათვალისწინებული სხდომის თავმჯდომარის ან სასამართლოს თავმჯდომარის განკარგულება მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე და არ საჩივრდება.“

31. საკონსტიტუციო სასამართლოს 2006წ. 15 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე (იხ. §§ 42–47), სსსკ-ის 208-ე მუხლი არსებითად გადაიხედა 2006წ. 29 დეკემბერს. აქედან გამომდინარე, ამ დებულების ახლად დამატებული §8 ანიჭებს სასამართლოს მანდატურებს უფლებამოსილებას, დააკავონ პირი, რომელიც „არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს სასამართლოში, იქნება ეს სასამართლოს შეურაცხყოფა თუ სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა“. მანდატურები ვალდებული იყვნენ, შეედგინათ დაკავების ოქმი და 24 საათის განმავლობაში გადაეცათ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ პირთა საქმე იმავე სასამართლოს თავმჯდომარისთვის, გადაწყვეტილების გამოსატანად. თავმჯდომარეს ჰქონდა მომდევნო 24 საათი, რათა მიეღო გადაწყვეტილება ამ პირთა დასჯასთან დაკავშირებით. სსსკ-ის 208-ე (§§ 10 და 11) მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ პირთათვის პატიმრობის შეფარდების შესახებ სამართალწარმოება უნდა იყოს ყოველთვის შეჯიბრებითი და გაიმართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც დამნაშავე პირებს მიეცემათ შესაძლებლობა, დაიცვან საკუთარი თავი. თუ თავმჯდომარე გადაწყვეტს გამოიტანოს გადაწყვეტილება დამრღვევი პირის დაპატიმრების შესახებ, ეს უკანაპნელი უფლებამოსილია, მომდევნო 24 საათის განმავლობაში გაასაჩივროს გამოტანილი გადაწყვეტილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

გ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით

32. კოდექსი მიღებულ იქნა 1984წ. 15 დეკემბერს, როდესაც საქართველო იყო საბჭოთა კავშირის ნაწილი. შესაბამისად, მრავალი ცვლილება იქნა შეტანილი. იმ პერიოდისთვის კოდექსის შესაბამისი დებულებები იკითხებოდა შემდეგნაირად:

მუხლი 10: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება“

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეშობა მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.“

33. ასკ-ის 24-ე (§1) მუხლში ჩამოთვლილია ადმინისტრაციული სასჯელის ფორმები, რომელთაგან ადმინისტრაციული პატიმრობა ყველაზე მკაცრი სასჯელია. 32-ე (§1) მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული პატიმრობა შეიძლება შეეფარდოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ, გამონაკლისის სახით მხოლოდ გარკვეული სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში და ვადით, რომელიც არ აღემატება 30 დღეს.

34. ასკ-ის 244-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების დროს აღმკვეთ ზომებს, როგორცაა: ადმინისტრაციული პატიმრობა, პირის ან საგნის ჩხრეკა, საგნისა და დოკუმენტის ამოღება. ეს ზომები, პატიმრობის ჩათვლით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის პრევენციის მიზნით, რათა მოხდეს ადმინისტრაციული საქმის დროული და სათანადო განხილვა და გამოტანილი გადაწყვეტილების ან დადგენილების აღსრულება მსგავსი შემთხვევის დროს“.

35. ასკ-ის 246-ე მუხლი მოიცავს იმ უწყებათა ამომწურავ ჩამონათვალს, რომლებსაც ენიჭებათ უფლებამოსილება, სისრულეში მოიყვანონ ადმინისტრაციული პატიმრობა. სასამართლოს მანდატურები აღნიშნულ ჩამონათვალში არ ფიგურირებენ.

36. ასკ-ის 247-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავება არ უნდა აღემატებოდეს სამ საათს, თუ სპეციფიკური დებულება არ ითვალისწინებს უფრო ხანგრძლივ ვადას „განსაკუთრებული საჭიროების შემთხვევაში“.

37. ასკ-ის 252-ე, 263-ე და 264-ე მუხლები მოიცავს სისხლის სამართალწარმოების მსგავს პროცედურულ წესებსა და მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის, რომლებიც გამოიყენება სასამართლო პროცესის დროს. კერძოდ, პირს, რომელსაც წაყენებული აქვს ადმინისტრაციული სამართალდაღვევის ბრალდება, გააჩნია ფუნდამენტური პროცედურული უფლებები, როგორცაა: საქმის მასალების განხილვა, არგუმენტებისა და მტკიცებულების წარმოდგენა, შუამდგომლობის დაყენება, იურიდიული დახმარება საქმის განხილვის პროცესში, სასამართლოსთვის მის მშობლიურ ენაზე მიმართვა ან თარჯიმნის დახმარება და პროცედურული გადაწყვეტილებების გასაჩივრება. ადმინისტრაციული საქმე ყოველთვის უნდა იქნეს განხილული ბრალდებულის თანდასწრებით, ზეპირი მოსმენის დროს, *in absentia* სამართალწარმოებას შეიძლება ჰქონდეს ადგილი თუ პირი იქნა წესი დაცვით დაბარებული, მაგრამ ის არ გამოცხადდა.

38. 271-ე და 279-ე მუხლების თანახმად, როგორც წესი, იმ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომლითაც დგინდება პირის ბრალეულობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე და მას ეკისრება ჯარიმა, არ

ხდება. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმდეს საქმის გადახედვის შედეგად. ეს დებულებები შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 271§2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების უფლება

„2. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სასჯელის დაკისრების შესახებ საბოლოოა და ადმინისტრაციულ პროცესში გასაჩივრებას არ ექვემდებარება თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.“

მუხლი 279. საქმის გადასინჯვა

„რაიონული (საქალაქო) სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს პროკურორის პროტესტით თვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ, აგრეთვე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა პროკურორის პროტესტი, – ზემდგომი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ...“

დ. სამოქალაქო კოდექსი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი შესაბამის პერიოდში მოქმედი რედაქციით

39. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი, რომელიც განმარტავს არაქონებრივი ზიანის ცნებას, შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 413§1: არაქონებრივი ზიანი

„1. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

2. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.“

40. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ სახელმწიფო სტრუქტურები ერთობლივად პასუხისმგებელია ზიანზე, რომელიც მიადგა კერძო პირს განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით მათი მოსამსახურეების მიერ, რაც მოიცავს ისეთ განსაკუთრებული შემთხვევებს, რომელთა არსებობა პირველად უნდა დადგინდეს სასამართლოს მიერ, როგორცაა უკანონო გასამართლება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ან უკანონო პატიმრობის შეფარდება.

41. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე (§1 „ვ“) მუხლის თანახმად, საბოლოო გადაწყვეტილება (განაჩენი) სამოქალაქო შემთხვევის დროს შეიძლება გადასინჯულ იქნეს ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე. მსგავსი გადასინჯვის საფუძვლებს, სხვებთან ერთად, წარმოადგენს ფაქტობრივი გარემოებები ან მტკიცებულებები, რომელებიც საქმიოს განმხილველი სასამართლოსთვის გადაწყვეტილების გამოტანამდე რომ ყოფილიყო წარდგენილი, სხვაგვარი შედეგი დადგებოდა.

ე. საკონსტიტუციო სასამართლოს 2006წ. 15 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „მასურაშვილი და მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

42. საქმის საფუძველია სააპელაციო სარჩელი შეტანილი ორი ადვოკატის მიერ, რომლებიც სსსკ-ის 208-ე (§6) მუხლის საფუძველზე იყვნენ დაპატიმრებულნი სასამართლო დარბაზში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს შეურაცხყოფისთვის სისხლის სამართლის საქმის ზეპირი მოსმენისას.

43. 2006წ. 20 ივლისის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ სააპელაციო სარჩელი მისაღებად ცნო საქმის არსებითი განხილვისთვის და დროებით შეაჩერა სსსკ-ის 208-ე (§7) მუხლის მოქმედება სამართალწარმოების მიმდინარეობის პროცესში.

44. 2006წ. 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 208-ე (§7) მუხლი.

45. საკონსტიტუციო სასამართლომ, მხედველობაში მიიღო რა სასამართლო პრაქტიკა, დაასკვნა, რომ სსსკ-ის 208-ე მუხლით დადგენილ პრცედურასთან მიმართებაში, კონვენციის მე-6 (§1) მუხლი გამოიყენება მისი „სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით“. სასამართლომ შემდგომში განმარტა, რომ სამართალწარმოება, რომელიც უფლებამოსილებას აძლევს მოსამართლეს, საქმის ზეპირი მოსმენისას გაასამართლოს პირი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის/სასამართლოს შეურაცხყოფისთვის ადგილზე მიღებული განსჯისა და გადაწყვეტილების საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, არღვევს სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ფუნდამენტურ გარანტიას და ასევე უფლებას იმისა, რომ პირს გააჩნდეს დრო და საშუალებები მოემზადოს დაცვისთვის და ა.შ.

46. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ გასამართლებული პირისთვის გასაჩივრების უფლებაზე უარის თქმით, სსსკ-ის 208-ე მუხლის საფუძველზე, მისი დებულების §7 არღვევს კონსტიტუციის 42-ე (§1) და კონვენციის №7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლებს. აღნიშნული არგუმენტაციის გასამყარებლად, საკონსტიტუციო სასამართლომ მაგალითისთვის მოიყვანა საქმე Gurepka v. Ukraine (no. 61406/00, §§ 59-62, 6 September 2005).

47. თავის გადაწყვეტილებაში, საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე გააკრიტიკა სასამართლოს შეურაცხყოფის შესახებ სამართალდარღვევის განმარტება, რომელიც მოცემულია სსსკ-ის 208-ე (§6) მუხლში. კერძოდ:

„ნორმაში სამართალდარღვევის შინაარსი არ არის მკაფიოდ ფორმულირებული, რის გამოც მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ნორმის განმარტების საფუძველზე, რაც ისევ მისი არაკონკრეტულობიდან და ბუნდოვანებიდან გამომდინარე, არაერთგვაროვანია. ... როდესაც კანონმდებლობით ხდება პასუხისმგებლობის ისეთი ზომის შემოღება, როგორცაა დაპატიმრება, მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს თავად სამართალდარღვევის შინაარსი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ეს ზომა. ... ხოლო, მეორე მხრივ, სამართალშემფარდებელმა (მოსამართლემ) შეძლოს შესაბამისი ნორმების სწორად და ადეკვატურად გამოყენება.

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ისეთი უმნიშვნელოვანესი მიზნის მიღწევა და დაცვა, როგორცაა სასამართლოს ავტორიტეტი და ქმედითი მართლმსაჯულება, არ უნდა მოხდეს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შელახვის ხარჯზე.“

სამართალი

I. კონვენციის მე-5 (§ 1), მე-6 (§§ 1 და 3 „c“) და მე-10 და მე-11 მუხლების სავარაუდო დარღვევები

48. მომჩივნებმა გაასაჩივრეს ის ფაქტი, რომ მათი დაკავება, გასამართლება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს შეურაცხყოფისთვის და მათთვის თავისუფლების აღკვეთა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006წ. 29 ივნისის განკარგულებით, იყო უკანონო და უსამართლო, რითაც დაირღვა კონვენციის მე-5 (§1) და მე-6 (§§ 1 და 3 „c“) მუხლები.

49. მომჩივნებმა ასევე გამოხატეს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მათი დაკავება და პატიმრობა წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების შეზღუდვას, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებს.

50. კონვენციის მოცემული დებულებების შესაბამისი ნაწილები შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 5

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- a) კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირისა;
- c) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა.“

მუხლი 6

“1. ყოველი ადამიანი ... წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია ... მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლებით ... სასამართლოს მიერ.

3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

- c) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ...”

მუხლი 10

“1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად...”

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ

წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად...”

მუხლი 11

“1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრების ... თავისუფლება...”

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად...”

ა. მისაღებობა

51. მთავრობის აზრით, მომჩივნებმა არ ამოწურეს დაცვის ყველა შიდასამართლებრივი საშუალება, როგორც ამას მოითხოვს კონვენციის 35-ე (§1) მუხლი. მომჩივნებს შეეძლოთ, მოეთხოვათ კომპენსაცია სავარაუდო უკანონო დაპატიმრების შედეგად მიყენებული მორალური ზიანისთვის, სამოქალაქო კოდექსის 413-ე და 1005-ე მუხლების თანახმად (იხ. §§ 39-41). ასევე, მათ შეეძლოთ მოეთხოვათ 2006წ. 29 ივნისის განკარგულების გაუქმება და შესაბამისი სამართალწარმოების თავიდან დაწყება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე (§1 „ვ“) მუხლის საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

52. მომჩივნები არ დაეთანხმნენ აღნიშნულ მოსაზრებას, მოიყვანეს რა რამდენიმე არგუმენტი იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული სამართლებრივი ნორმები არ შეესაბამებოდა მათ საქმეს.

53. რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე (§1 „ვ“) მუხლით გათვალისწინებულ დაცვის შიდასამართლებრივ საშუალებას, სასამართლო მიუთითებს ამ კუთხით არსებულ მისი ფართო პრეცედენტულ სამართალზე და აცხადებს, რომ საქმის გადასინჯვის შესახებ საჩივარი ან მსგავსი შიდასამართლებრივი დაცვის საშუალება სამოქალაქო, სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ საკითხებთან მიმართებაში, როგორც წესი, არ შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული კონვენციის 35-ე (§1) მუხლის მიზნებისათვის (იხ. *The Foundation Mrevli v. Georgia* (dec.), no. 25491/04, 5 May 2009; *Galstyan v. Armenia*, no. 26986/03, §§ 39-42, 15 November 2007; and *Sakhnovskiy v. Russia* [GC], no. 21272/03, §§ 40 45, 2 November 2010).

54. სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელის შეტანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, რაც ეხება მომჩივნების სავარაუდო უკანონო დაპატიმრების შედეგად მიყენებულ, სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ზიანს, სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ იქ, სადაც საქმე ეხება დაპატიმრების კანონიერებას, სარჩელის შეტანა ზიანის მიყენებისთვის არ არის შესაბამისი სამართლებრივი დაცვის საშუალება, ვინაიდან სასამართლოს მიერ განხილული პატიმრობის კანონიერება და კონვენციის

მე-5 მუხლთან შეუთავსებელი ნებისმიერი სახის თავისუფლების აღკვეთის გამო კომპენსაციის მიღების უფლება ორი სხვადასხვა უფლებაა (იხ. *Włoch v. Poland*, no. 27785/95, §90, ECHR 2000-XI, and *Khadisov and Tsechoyev v. Russia*, no. 21519/02, §151, 5 February 2009, with further references). სასამართლო შენიშნავს, რომ რასაკვირველია, მომჩივანთა პრეტენზიები ეფუძნება მათ დაკავებასა და პატიმრობას, რაც მათ კანონით დადგენილი წესით გაასაჩივრეს შიდა სასამართლოში, როგორც უკანონო ქმედება. სასამართლო არ იზიარებს მთავრობის არგუმენტს მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვასთან დაკავშირებით.

55. სასამართლო აღნიშნავს, რომ საჩივრის ეს ნაწილი არ არის დაუსაბუთებელი კონვენციის 35-ე (§ 3 „a“) მუხლის თვალსაზრისით. ამასთანავე, ის არ არის მიუღებელი რაიმე სხვა მიზეზის გამო და შესაბამისად, მისაღებად უნდა იქნეს ცნობილი.

ბ. არსებითი მხარე

1. დაკავებისა და პატიმრობის კანონიერება

(ა) მთავრობის არგუმენტები

56. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანთა დაკავება და პატიმრობა შეესაბამება კონვენციის მე-5 (§1 „c“) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისს. აღსანიშნავია, რომ ისინი დააკავეს იმ ეჭვის გამო, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფას ეხებოდა, რაც წარმოადგენს „სამართალდარღვევას“ მოცემული დებულების გაგებით. მომჩივანთათვის თავისუფლების აღკვეთის შიდასამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებით, მთავრობამ მოიყვანა სასამართლოების შესახებ კანონის 76-ე (3) §1 „ვ“) და სსკ-ს 208-ე (§6(1)) მუხლები, რომლებიც უფლებას აძლევს შესაბამის სასამართლოს, სამართადამრღვევებს შეუფარდოს პატიმრობა (იხ. §§ 28 და 30). ალტერნატივის სახით, მთავრობამ აგრეთვე მიიჩნია, რომ მომჩივანთა დაკავება და პატიმრობა შეიძლება ასევე იქნეს განხილული კონვენციის მე-5 (§1 „b“) მუხლის თვალსაზრისით.

57. იმის აღიარებით, რომ სასამართლოების შესახებ კანონის 76-ე ((3) §1 „ვ“)) მუხლის პირდაპირი ფორმულირება ეხება სასამართლოს მანდატურთა უფლებამოსილებას, დააკავონ ადამიანები სასამართლოს შენობის შიგნით, მთავრობამ განაცხადა, რომ ამ დებულების წაკითხვა შესაძლებელია უფრო ფართო ინტერპრეტაციით, რაც გულიხმობს ყურადღების გამახვილებას იმ საერთო მიზანზე, რომელიც ამ ნორმის საშუალებით უნდა იქნეს მიღწეული. შესაბამისად, ვინაიდან სასამართლოების შესახებ კანონის 76-ე (3) მუხლის არსი იყო მანდატურებისთვის უფლებამოსილების მინიჭება მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, მომჩივანებისთვის, რომლებმაც შეურაცხვეს თბილისის სააპელაციო სასამართლო

ეზოში, ბუნებრივი უნდა ყოფილიყო ის ფაქტი, რომ მანდატურები ადასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას არამართო სასამართლოს შენობის შიგნით, არამედ მის მიმდებარე, დაცულ ტერიტორიაზეც.

58. ამის შემდეგ, მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანთა დაკავების საწყისი პერიოდი, ვიდრე თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მიმდინარეობდა ინციდენტის განხილვა, წარმოადგენდა ადმინისტრაციულ პატიმრობას - ადმინისტრაციული სამართალწარმოების აღმკვეთი ღონისძიების ფორმას, ასკ-ის 244-ე მუხლის განსაზღვრებით (იხ. §34). მთავრობა შემდგომში უმტკიცებდა სასამართლოს, რომ პატიმრობა არ გაგრძელებულა სამ საათზე მეტ ხანს - ასკ-ის 247-ე მუხლით გათვალისწინებული მაქსიმალური მისაღები ზღვარი (იხ. §36). ამის განსამტკიცებლად, მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ სამი სთ. და 45 წთ. გავიდა მომჩივანთა დაკავებასა და ერთ-ერთი მომჩივნის შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში მოთავსებას შორის, ეს განხორციელდა 2006 წ. 29 ივნისის განკარგულების გამოტანის შემდეგ (იხ. §§ 14 და 18); 25 წუთზე მეტი დრო დაჭირდა მომჩივანთა ტრანსპორტირებას სასამართლოდან იმ ადგილამდე, სადაც ისინი მოთავსდნენ პატიმრობაში.

(ბ) მომჩივანთა არგუმენტები

59. მომჩივნებმა უპასუხეს, რომ მათი დაკავება იყო უკანონო, ვინაიდან სასამართლოების შესახებ კანონის 76-ე(3)§1 „ვ“) მუხლი არ ანიჭებს უფლებამოსილებას სასამართლოს მანდატურებს, დააკავონ პირები სასამართლოს შენობის გარეთ, მათ შეუძლიათ მხოლოდ „სამართალდარღვევის აღკვეთა სასამართლოს შენობის შიგნით“. მომჩივნებმა გაასაჩივრეს ის ფაქტი, რომ შიდა სასამართლოს მხრიდან ამ დებულებას გაცილებით ფართო ინტერპრეტაცია მიეცა და მოპასუხე სახელმწიფომ გააფართოვა მანდატურების უფლებამოსილება დაკავებასთან დაკავშირებით, რაც არ აკმაყოფილებს წინასწარ განჭვრეტადობის მოთხოვნას და უკანონოა კონვენციის მე-5 (§1) მუხლის გაგებით.

60. ამის შემდგომ, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ იმ დროისთვის არ იყო ცხადი თუ რომელ სამართლებრივ ნორმას უნდა დაერეგულირებინა მათი დაკავების ხანგრძლივობა. მათ გაასაჩივრეს ასკ-ის 247-ე მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობა, რომელიც აწესებს ადმინისტრაციული დაკავების კანონიერ ზღვარს, ასკ-ის მე-10 მუხლის თანახმად. ასკ გამოიყენება მხოლოდ იმ სამართალდარღვევისთვის, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსით (იხ. §32), მაშინ როდესაც მომჩივნები დაისაჯნენ სსსკ-ის 208-ე მუხლის საფუძველზე. მეორეს მხრივ, თუ ასკ-ის გამოყენება უნდა მომხდარიყო მოცემულ სიტუაციაში, აშკარა პრობლემა იქმნება 246-ე მუხლთან მიმართებაში, რომელიც გამორიცხავს სასამართლოს მანდატურებს იმ მოხელეთა სიიდან, რომელთაც კანონის ძალით უფლება აქვთ, განახორციელონ ადმინისტრაციული დაკავება (იხ. §35).

61. სსსკ-ის 208-ე (§6(1) მუხლის საფუძველზე 30 დღიანი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით, მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ აღნიშნულ დებულებას აკლია წინასწარი განჭვრეტადობა და სიზუსტე. ამ არგუმენტის განსამტკიცებლად, მათ მოიყვანეს საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი მონაცემები, ისევე როგორც 2006წ. 29 დეკემბრის შესაბამისი ცვლილება, რომელიც, მათი აზრით, წარმოადგენს აღნიშნული დებულების თავდაპირველი ვერსიის ნაკლოვანი ბუნების აღიარებას საქართველოს შესაბამისი ორგანოების მიერ (იხ. §§ 30 და 31). მომჩივნებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ მათ არ შეეძლოთ განესაზღვრათ ის, რომ მათი ქმედებები სასამართლოს შენობის გარეთ გამოიწვევდა მათ დაპატიმრებას სსსკ-ის 208-ე (§6 (1)) მუხლის საფუძველზე.

(გ) სასამართლოს შეფასება

i. ზოგადი პრინციპები

62. სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ თავისუფლების ნებისმიერი სახის აღკვეთა, კონვენციის მე-5 (§1) მუხლის (a)-(f) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა (იხ. Assanidze v. Georgia [GC], no. 71503/01, §170, ECHR 2004 II), უნდა იყოს „კანონიერი“. როდესაც პატიმრობის „კანონიერება“ დავის საგანი ხდება, კონვენცია მიმართავს ეროვნულ კანონმდებლობას და ეყრდნობა ვალდებულებას, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული კანონმდებლობის მატერიალურ-სამართლებრივ და პროცესუალურ ნორმებთან (იხ. Saadi v. the United Kingdom [GC], no. 13229/03, §67, 29 January 2008). აღნიშნული პირველ რიგში მოითხოვს, რომ ნებისმიერ დაკავებას ან დაპატიმრებას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგრამ ასევე კავშირში უნდა იყოს კანონის ხარისხთან, რაც გულისხმობს მის შესაბამისობას კანონის უზენაესობასთან - კონცეფცია, რომელიც დამახასიათებელია კონვენციის ყველა მუხლისთვის (იხ. Stafford v. the United Kingdom [GC], no. 46295/99, §63, ECHR 2002 IV, and Kafkaris v. Cyprus [GC], no. 21906/04, § 116, ECHR 2008). „კანონის ხარისხი“ თავის მხრივ მოიცავს იმას, რომ იქ, სადაც ეროვნული კანონმდებლობა თავისუფლების აღკვეთის უფლებამოსილებას ითვალისწინებს, ის უნდა იყოს საკმარისად ხელმისაწვდომი, ზუსტი და წინასწარ განჭვრეტადი მისი გამოყენების დროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობის ყოველგვარი რისკი (იხ., მაგალითად, Nasrulloev v. Russia, no. 656/06, §71, 11 October 2007, and Mooren v. Germany [GC], no. 11364/03, §76, 9 July 2009). კონვენციით დადგენილი „კანონიერების“ სტანდარტი მოითხოვს, რომ ყველა კანონი იყოს საკმარისად ზუსტი, რათა პირს მისცეს საშუალება, საჭიროების შემთხვევაში და შესაბამისი რჩევით - მოცემული გარემოებებიდან გამომდინარე, გარკვეული ხარისხით, წინასწარ განსაზღვროს ის შედეგები, რომლებსაც მოცემული ქმედება გამოიწვევს.

63. თუმცა, ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა არ არის საკმარისი. კონვენციის მე-5 (§1) მუხლი დამატებით მოითხოვს, რომ თავისუფლების აღკვეთა ემსახურებოდეს პირის თვითნებობისგან დაცვას (იხ. *Bozano v. France*, 18 December 1986, §54, Series A no. 111). ფუნდამენტური პრინციპია ის, რომ ნებისმიერი სახის დაპატიმრება, რომელიც თვითნებურია, არ შეიძლება იყოს შეთავსებადი მე-5 (§1) მუხლთან. „თვითნებობის“ ცნება მე-5 (§1) მუხლში საკმაოდ სცილდება ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის ნაკლებობას, ამგვარად, თავისუფლების აღკვეთა შეიძლება იყოს კანონიერი ეროვნულ კანონმდებლობასთან მიმართებაში, მაგრამ თვითნებური და შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდეს კონვენციას (იხ. *Saadi*, ხსენებული ზემოთ, §67). ვიდრე სასამართლოს არ ჩამოუყალიბებია გლობალური განსაზღვრება იმის შესახებ თუ შესაბამისი ორგანოების მხრიდან რა სახის ქმედება შეიძლება წარმოადგენდეს „თვითნებობას“ მე-5 (§1) მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ძირითადი პრინციპები შემუშავებულია კონკრეტული შემთხვევებიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, დაპატიმრება იქნება „თვითნებური“, როდესაც ეროვნული კანონმდებლობის დაცვის მიუხედავად, შესაბამისი ორგანოების მხრიდან ადგილი აქვს არაკეთილსინდისიერ ქმედებას (იხ. *Bozano*, ხსენებული ზემოთ, §59; and *Saadi*, ხსენებული ზემოთ, §69) ან როდესაც შესაბამისი ეროვნული ორგანოები გამოიჩინენ დაუდევრობას და არ ეცდებიან შესაბამისი კანონმდებლობის სწორი მიმართულებით გამოყენებას (იხ. *Benham v. the United Kingdom*, 10 June 1996, §47, Reports of Judgments and Decisions 1996-III, and *Liu v. Russia*, no. 42086/05, §82, 6 December 2007).

ii. აღნიშნული პრინციპების გამოყენება წინამდებარე საქმის გარემოებებთან მიმართებაში

64. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო აღნიშნავს, რომ არ არის საჭირო პასუხი კითხვაზე, არსებობდა თუ არა მიზეზები საქართველოს შესაბამისი ორგანოებისთვის, რომ მათ მიეღოთ ზომები საზოგადოებრივი წესრიგის მოსალოდნელი დარღვევის თავიდან ასაცილებლად ან არსებობდა თუ არა იმის აუცილებლობა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს გაეგრძელებინა მუშაობა ხმაურით გამოწვეული არეულობის გარეშე, რომელსაც ქმნიდნენ მომჩივნები თავიანთი აქციით სასამართლო შენობის გარეთ. აღნიშნულ შემთხვევაში საფრთხის ქვეშ დგება მომჩივანთათვის თავისუფლების აღკვეთის კანონიერება. სასამართლო შენიშნავს, რომ მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მომჩივანთა დაკავება და სააპელაციო სასამართლოს სამორიგეო ოთახში ჩაკეტვა, ისევე როგორც მათთვის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ პატიმრობის შეფარდება, წარმოადგენდა თავისუფლების აღკვეთის უწყვეტ მდგომარეობას კონვენციის მე-5 (§1) მუხლის თანახმად. ის შეიძლება შეფასდეს და დაიყოს ორ პერიოდად - მომჩივანთა მოსამართლის წინაშე წარდგენამდე და მას შემდეგ, რაც მოსამართლემ გასცა მათი დაპატიმრების სანქცია 2006წ. 29 ივნისის განკარგულების საფუძველზე.

65. მომჩივანთა თავისუფლების აღკვეთის პირველ პერიოდთან დაკავშირებით, სასამართლოსთვის მისაღებია, რომ ვინაიდან ისინი დააკავეს სამართალდარღვევის ჩადენასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველზე, რაც გულისხმობს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფას, ეს პერიოდი ექვემდებარება კონვენციის მე-5 (§1 „c“) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევას (შედარებისთვის იხ. Makhmudov v. Russia, no. 35082/04, §80 and 81, 26 July 2007, and Schwabe and M.G., ხსენებული ზემოთ, §70). თუმცა, რაც შეეხება მისი უფლებამოსილების განხორციელებას - ეროვნული კანონმდებლობის ხარისხზე მითითებას დაპატიმრების საკამათო პერიოდის „კანონიერების“ დადასტურების მიზნით (იხ. §62), სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივანთა დაკავებასთან და სამი საათის განმავლობაში სამორიგეო ოთახში მათ ჩაკეტვასთან დაკავშირებული გარემოებები არ შეიძლება ჩაითვალოს შიდა ნორმებთან შესაბამისად.

66. აქედან გამომდინარე თუ სასამართლო გაიზიარებს მთავრობის არგუმენტს იმის თაობაზე, რომ მომჩივნები დააკავეს ასკ-ის საფუძველზე და რომ მათი დაკავება იმ დროისთვის შეესაბამებოდა ადმინისტრაციული პატიმრობისთვის დაშვებულ სამსაათიან ლიმიტს (იხ. §36), პრობლემა წარმოიქმნება მანდატურთა მიერ განხორციელებულ დაკავების უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. სასამართლო შენიშნავს, რომ მანდატურები არ შედიოდნენ იმ მოხელეთა სიაში, რომელთაც ენიჭებათ უფლებამოსილება, განახორციელონ ადმინისტრაციული დაკავება კოდექსის თანახმად (იხ. §35).

67. მეორე მხრივ, როგორც მომჩივანთა დაკავების ოქმებიდან ირკვევა (იხ. §12), მათი დაკავება უკავშირდებოდა სასამართლოების შესახებ კანონის 76-ე ((3) §1)) მუხლს, კერძოდ მის „ვ“ ქვეპუნქტს, რომელიც უფლებამოსილებას ანიჭებს მანდატურებს, დააკავონ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფაში ეჭვმიტანილი პირები. თუმცა, ეს შიდა დებულება, რომლის მიხედვით მანდატურებს შეუძლიათ განახორციელონ დაკავება „სამართალდამრღვევთა პოლიციისთვის გადაცემის მიზნით“, არ ითვალისწინებს კანონით დადგენილ დროის ლიმიტს, რომლის განმავლობაშიც დაკავებული პირი უნდა იყოს პატიმრობის ქვეშ, ვიდრე ის წარსდგება სასამართლოს წინაშე. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით განმარტება არ გაკეთებულა იმის შესახებ თუ რომელი შიდასამართლებრივი ნორმის საფუძველზე მოახდინეს მანდატურებმა მომჩივანთა დაკავება და მათი ჩაკეტვა სამორიგეო ოთახში სულ მცირე, სამი საათის განმავლობაში. სასამართლო შენიშნავს, რომ ქართველმა კანონმდებელმა მხოლოდ 2006წ. 29 ივნისს მომჩივანთა დაკავების შემდეგ, 2006წ. 29 დეკემბერს განსაზღვრა საბოლოოდ შესაბამისი სამართალდარღვევის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის დაკავების ხანგრძლივობის მაქსიმალური მისაღები პერიოდი (იხ. §31).

68. მეორე საკითხი, რომლითაც ინტერესდება სასამართლო, არის ის, იძლეოდა თუ არა სასამართლოს შენობის გარეთ მომჩივანთა დაკავების კანონიერ საფუძველს სასამართლოების შესახებ კანონის 76-ე ((3) §1 „ვ“) მუხლი, რომლის საფუძველზეც განხორციელდა მომჩივანთა დაკავება ან სსსკ-ის 208 §6(1) მუხლი, რომლის

თანახმადაც დამტკიცდა მათი ბრალეულობა. ამ დებულებების ფორმულირება ზღუდავს როგორც მანდატურების მიერ დაკავების უფლებამოსილებას, ისე სასამართლოს შენობის შიგნით საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის მოქმედების ტერიტორიულ საზღვრებს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლოს გააჩნია გარკვეული ეჭვი, რომ მომჩივნები გარკვეულწილად უნდა მიმხვდარიყვნენ იმას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინ ქუჩის აქციის გამართვა გამოიწვევდა მათ დაკავებასა და პატიმრობას ზემოხსენებული შიდასამართლებრივი ნორმების თანახმად და ეს იქნებოდა გონივრული მსგავსი გარემოებების შემთხვევაში. სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ ამ თვალსაზრისით ეროვნული კანონმდებლობა უნდა იყოს კარგი ხარისხის (გასაგები კრიტერიუმებით) და კერძოდ, ის უნდა იყოს წინასწარ განჭვრეტადი მისი გამოყენების დროს, რათა თავიდან იქნეს აცილებული თვითნებობასთან დაკავშირებული ყოველგვარი რისკი (იხ. *M. v. Germany*, no. 19359/04, §104, ECHR 2009).

69. რაც შეეხება მომჩივანთა თავისუფლების აღკვეთის მეორე პერიოდს, მათ 30 დღიან პატიმრობას იმ მიზეზით, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მათ შეუფარდა სასჯელის ეს ზომა 2006წ. 29 ივნისის განკარგულების საფუძველზე, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სამართალდარღვევისთვის სსსკ-ის 208-ე (§6 (1)) მუხლის თანახმად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს პერიოდი კონვენციის მე-5 (§1 „ა“) მუხლით გათვალისწინებულ გამონაკლისში შედის (იხ. *Schwabe and M.G.*, ხსენებული ზემოთ, §74 and 83, and *M. v. Germany*, ასევე ხსენებული ზემოთ, §87). თუმცა თავმჯდომარეს არ განუმარტავს კანონიერი საფუძველი იმისა, ჰქონდათ თუ არა მანდატურებს უფლება, დაეკავებინათ მომჩივნები სასამართლოს გარეთ და მოითხოვდა თუ არა მომჩივანთა ქცევა სასამართლოს გარეთ მათი პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას შესაბამისი შიდასამართლებრივი ნორმების მიხედვით. მისი დასკვნები ეფუძნებოდა მხოლოდ მანდატურთა მოხსენებით ბარათებსა და მსგავს დოკუმენტებს, განკარგულება არ შეიცავდა დეტალურ განმარტებას, იყო საკმაოდ მოკლე და მოსდევდა წარწერა, რომელიც შეიცავდა აშკარად არასწორ განცხადებას იმის შესახებ, რომ მომჩივნებმა ჩაიდინეს ეს ქმედება „სასამართლოს შენობის შიგნით, მის ცენტრალურ შესასვლელში“ (იხ. §§ 12, 15 და 17). აშკარაა, რომ მომჩივანთა დაკავების როგორც ფაქტობრივი, ისე იურიდიული საფუძვლის შესწავლისას, მოსამართლის მხრიდან გაუფრთხილებლობას ჰქონდა ადგილი (შედარებისთვის იხ. *Hakobyan and Others v. Armenia*, no. 34320/04, §123, 10 April 2012) და მან განახორციელა თავისი უფლებამოსილება კონვენციით გათვალისწინებული, თვითნებობის წინააღმდეგ მიმართული ელემენტარული პროცედურული გარანტიის აშკარად საწინააღმდეგოდ (იხ. *Menesheva v. Russia*, no. 59261/00, §92, ECHR 2006 III).

70. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ასკვნის, რომ მომჩივანთა დაკავება სამი საათის განმავლობაში არ ეფუძნებოდა გასაგებ და წინასწარ განჭვრეტად შიდასამართლებრივ ნორმებს, მაშინ როდესაც 30 დღიანი პატიმრობის

შეფარდება მოხდა თვითნებურად და არ გამოხატავდა კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას სასამართლოს შესაბამისი ორგანოების მხრიდან.

71. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§1) მუხლის დარღვევას.

2. სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება

(ა) მხარეთა არგუმენტები

72. კონვენციის მე-6(§1) მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობის დადასტურებასთან დაკავშირებით განსახილველ სამართალწარმოებასთან მიმართებაში, მთავრობამ განაცხადა, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები არ დარღვეულა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის წინაშე ზეპირი მოსმენის არ-გამართვის გამო, იმდენად, რამდენადაც ამ ფაქტმა ერთნაირად დააზიანა ორივე მხარის - მომჩივნებისა და მანდატურების ინტერესები. მთავრობა ასევე ამტკიცებდა, რომ მომჩივნებს შეეძლოთ ეცადათ და წარედგინათ წერილობითი შენიშვნები მანდატურთა მოხსენებითი ბარათების საპასუხოდ, ვიდრე თავმჯდომარე შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებდა. მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წ. 29 ივნისის განკარგულება შეიცავდა შესაბამის და საკმარის საფუძვლებს იმისათვის, რომ დადგენილიყო მომჩივანთა ბრალეულობა სსსკ-ის 208-ე (§6(1)) მუხლის საფუძველზე, რასაც შემდგომ სრულად დაეთანხმა საქართველოს უზენაესი სასამართლო.

73. მომჩივნებმა უპასუხეს, რომ მათ არ მიეცათ შესაძლებლობა, ზეპირი ან წერილობითი ფორმით გამოეხატათ თავიანთი შენიშვნები მანდატურების მოხსენებით ბარათებთან დაკავშირებით, რაც გახდა ერთადერთი საფუძველი თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარისთვის, გამოეტანა მსგავსი განკარგულება. ისინი არ ეთანხმებიან იმ ფაქტს, რომ თავმჯდომარეს ჰქონდა მცდელობა, შეემოწმებინა ან კითხვის ნიშნის ქვეშ დაეყენებინა მანდატურთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტე. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ მათ იმის შესახებაც კი არ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ თავმჯდომარე აპირებდა განკარგულების მიღებას ადგილზე და ამ ფაქტის შესახებ მათ შეიტყვეს *ex post factum*, წინასწარი დაკავების იზოლატორში. შესაბამისად, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, წარედგინათ დასაცავი არგუმენტები. მომჩივნებმა აგრეთვე განაცხადეს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006წ. 29 ივნისის განკარგულება ძალზე ზოგადად იყო ფორმულირებული და არ შეიცავდა დეტალურ განმარტებასა და კონკრეტულ ქმედებათა განხილვას.

74. მხარეებმა აგრეთვე გაცვალეს არგუმენტები მომჩივანთა მიერ, კონვენციის მე-6 (§3 „c“) მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების შესახებ, რაც ეხებოდა მათთვის შესაძლებლობის არ-მიცემას, საქმის განხილვის დროს თავად ან ადვოკატის საშუალებით დაეცვათ თავი.

(ბ) სასამართლოს შეფასება

75. პირველ რიგში, სასამართლო ადასტურებს, რომ მომჩივნებისთვის მსგავსი სასჯელის - თავისუფლების აღკვეთის შეფარდების გათვალისწინებით, სადავო სამართალწარმოება უდავოდ იმსახურებს ყურადღებას კონვენციის მე-6 (§1) მუხლის გამოყენების მიზანშეწონილობის კუთხით - საკითხი, რომელიც არ განხილულა მთავრობის მიერ (იხ. Menesheva, ხსენებული ზემოთ, §§ 94-98).

76. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ გზა, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ მოისმინა ეს საქმე სსსკ-ის 208-ე (§7) მუხლის თანახმად, ზედაპირული პროცედურით, დახურულ კარს მიღმა, მხოლოდ მანდატურთა მოხსენებითი ბარათების საფუძველზე და არ მისცა მომჩივნებს შესაძლებლობა, დასწრებოდნენ მოსმენას, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლო განხილვის ელემენტარული პროცედურული მოთხოვნების სრულ უარყოფას, როგორებიცაა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითი პროცესის, დაცვის მომზადებისთვის საჭირო ადეკვატური დროისა და საშუალებების, კვალიფიციური იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლებები.

77. სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006წ. 29 ივნისის განკარგულება იყო მხოლოდ სასამართლოს მანდატურების მიერ გამოთქმულ ბრალდებათა უდავო გამეორება და არსად ჩანდა ინციდენტთან დაკავშირებულ გარემოებათა სამართლებრივი განხილვის შედეგები (იხ. Menesheva, ხსენებული ზემოთ, §99; Ziliberg v. Moldova, no. 61821/00, §§ 40-42, 1 February 2005; and Hakobyan and Others, ხსენებული ზემოთ, §98). სასამართლოს შემფოთების საგანს წარმოადგენს ისიც, რომ თუ მხედველობაში მივიღებთ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, პრესკონფერენციის დროს, მომჩივანთა პატიმრობის შესახებ გამოთქმულ ტერმინებს, მან აშკარად ფაქტების ნაჩქარევი შეფასება გააკეთა და გამოხატა აზრი, რომ მომჩივნები იყვნენ დამნაშავენი, მათთვის ბრალის დამტკიცებამდე (შეად. Böhrer v. Germany, no. 37568/97, §§ 54 and 56, 3 October 2002, and Nešťák v. Slovakia, no. 65559/01, §§ 88 and 89, 27 February 2007).

78. ზემოხსენებული მოსაზრებები საკმარისია სასამართლოსთვის, რათა მან დაასკვნას, რომ წინამდებარე საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის 6 (§1) და 6 (§3 „c“) მუხლების დარღვევას.

3. გამოხატვის თავისუფლებისა და შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებები

(ა) მხარეთა არგუმენტები

79. მომჩივანთა უფლებებში ჩარევის აღიარებით, კონვენციის მე-10 (§1) და მე-11 (§1) მუხლების თანახმად, მთავრობამ განმარტა, რომ აღნიშნული გამართლებული

იყო ამ სამართლებრივი ნორმების მე-2 პარაგრაფების მნიშვნელობის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ჩარევა ეფუძნებოდა სასამართლოების შესახებ კანონის 76-ე ((3) §1 „ვ“) და სსსკ-ის 208-ე (§6 (1)) მუხლებს, რომელთა დებულებები სრულად აკმაყოფილებდა ხელმისაწვდომობის, წინასწარ განჭვრეტადობისა და სიზუსტის შესაბამის მოთხოვნებს (იხ. §75). უფრო მეტიც, ჩარევა ემსახურებოდა სასამართლო ხელისუფლების დაცვის მიზანს. ამასთან დაკავშირებით, მთავრობამ აღნიშნა, რომ 2006 წელს, ქვეყანაში მიმდინარეობდა სასამართლო ხელისუფლების რეფორმა, რომლის დროსაც დაუსაბუთებელი შეტევებისგან სასამართლოს დაცვის განსაკუთრებული საჭიროება არსებობდა.

80. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში, აქციის დროს, მომჩივანთა მიერ წარმოთქმულ შეურაცხყოფელ გამონათქვამებთან დაკავშირებით, მთავრობა მიიჩნევს, რომ გამონათქვამები, განსაკუთრებით, შს მინისტრის მიმართ - „ნაბიჭვარი“ და მოწოდება სასამართლოსადმი, არ დამორჩილებოდა და არ გამხდარიყო „კრიმინალური საქმიანობის“ თანამონაწილე (იხ. §8), აღემატებოდა ნორმალური კრიტიკის საზღვრებს და ასახავდა მომჩივანთა განზრახვას, საჯაროდ შეელახათ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ღირსება. პროპორციულობის მოთხოვნასთან მიმართებაში, მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნებისთვის სანქციის დაწესება, რაც გულისხმობდა 30 დღის გატარებას ციხეში, იყო ადეკვატური სასჯელი მათი ქმედებების სიმძიმიდან გამომდინარე, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მათ უარი თქვეს, დამორჩილებოდნენ მანდატურების თავდაპირველ კანონიერ ბრძანებებს და შეეწყვიტათ მსგავსი დამამცირებელი საქციელი. ამ თვალსაზრისით, მთავრობამ ასევე აცნობა სასამართლოს, რომ 2006წ. 29 ივნისის მოვლენები არ წარმოადგენდა ზოგიერთი მომჩივნის მხრიდან მსგავსი ქმედებების პირველი შემთხვევას და რომ პირველ, მესამე და მეოთხე მომჩივანს უკვე ჰქონდათ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წარსული შემთხვევები ქუჩის მსგავსი დემონსტრაციების დროს.

81. მომჩივნებმა უპასუხეს, რომ აქციაში ჩარევა „არ არის განსაზღვრული კანონით“, რადგან მანდატურებს არ გააჩნდათ უფლებამოსილება სასამართლოების შესახებ კანონის 76-ე ((3) §1 „ვ“) მუხლის ან სსსკ-ის და 208-ე (§6 (1)) მუხლის საფუძველზე, ვინაიდან ეს ორი სამართლებრივი ნორმა მოყვანილ იქნა ეროვნული ორგანოების მიერ, როგორც ჩარევის საფუძველი, რათა მოხდეს სამართალდარღვევის აღკვეთა სასამართლოს შენობის გარეთ. ამის შედეგად, მომჩივნებს არ შეეძლოთ, სცოდნოდათ თუ რა ხარისხით იყენებდნენ ისინი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებებს. მათ შემდგომში გამოხატეს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ 2006წ. 29 ივნისის განკარგულებაში, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ არ წარმოადგინა საკმარისი და საფუძვლიანი მიზეზები, რითაც ის გაამართლებდა ჩარევას.

82. მომჩივნებმა აღნიშნეს, რომ 2006წ. 29 ივნისის აქციის დროს, მათი გამონათქვამები ძირითადად წარმოადგენდა შს სამინისტროს პოლიტიკური კრიტიკის ფორმას და მათი მიზანი იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს მხარდაჭერა, რომ მას გაემართა სამართლიანი სასამართლო პროცესი შალვა

რამიშვილის გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეზე. ერთადერთი შეურაცხმყოფელი სიტყვა, რომლის გამოყენებასაც ისინი აღიარებენ, არის „ნაბიჭვარი“, მაგრამ ეს მიმართული იყო მინისტრისადმი და არა სასამართლო ხელისუფლების წევრებისადმი. მომჩივნებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ ისინი წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე NGO-ს, რომლის მიზანი მოიცავს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მხარდაჭერასა და შს სამინისტროს მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებათა დაგმობას. აქედან გამომდინარე, მათ ჰქონდათ უფლება, თავიანთი წვლილი შეეტანათ საჯარო დებატებში, რომლებიც გაიმართა იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელმაც გამოიწვია საზოგადოების ასეთი დიდი ინტერესი. მომჩივნებმა შენიშნეს, რომ 30 დღიანი პატიმრობის შეფარდება იყო არაპროპორციული სასჯელი.

(ბ) სასამართლოს შეფასება

i. მომჩივანთა პრეტენზიები

83. სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივანთა მიერ, კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები ეფუძნება იმ დაუსაბუთებელ განცხადებებს, რომ მათი დაკავება და პატიმრობა იყო ის ზომა, რომელიც უზრუნველყოფდა სასამართლოს შენობის გარეთ აქციის პრევენციას 2006წ. 29 ივნისს. მსგავსი გარემოებების დროს, მე-11 მუხლი მიჩნეულია როგორც *lex specialis* და არ არის საჭირო მე-10 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის ცალკე განხილვა. მეორეს მხრივ, მისი დამოუკიდებელი როლისა და გამოყენების სპეციფიკური სფეროს მიუხედავად, მე-11 მუხლი, მოცემულ შემთხვევაში, განხილულ უნდა იქნეს მე-10 მუხლით დადგენილი პრინციპების ქრილში (იხ. *Ezelin v. France*, 26 April 1991, §§ 35 and 37, Series A no. 202).

ii. კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა

84. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლება მოიცავს როგორც კერძო შეხვედრებსა და საჯარო შეკრებებს, ასევე შეხვედრებს, სადაც საკამათო საკითხების განხილვა ხდება და საჯარო მსვლელობებს (იხ. *Djavit An v. Turkey*, no. 20652/92, §56, ECHR 2003 III). მე-11 (§2) მუხლში გამოყენებული ტერმინი „შეზღუდვა“ მოიცავს ორივე ზომას, რომელთა მიღება ხდება შეკრებამდე და მის განმავლობაში და სადამსჯელო ზომებს, რომელთა მიღება ხდება შეკრების შემდეგ (იხ. *Ezelin*, §39 და *Galstyan*, ხსენებული ზემოთ, §101).

85. სასამართლო შენიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მომჩივნებმა გამართეს აქცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს წინ. რამდენიმე წუთის შემდეგ, ისინი დააპატიმრეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს

შეურაცხყოფისთვის. მათი სისხლისსამართლებრივი დევნა, როგორც ეს აღიარებულ იქნა მთავრობის მიერ, წარმოადგენდა ჩარევას შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაში. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, იყო თუ არა სადავო ჩარევა „კანონით განსაზღვრული“, გამოწვეული ერთი ან მეტი სამართლებრივი საფუძვლით კონვენციის მე-11 (§2) მუხლის თანახმად და „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

86. „კანონიერების“ მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ სასამართლოების შესახებ კანონის 76-ე ((3) §1 „ვ“)) მუხლი და სსსკ-ის 208-ე (§6 (1)) მუხლი, რომელთა დებულებები გახდა მომჩივანთა დაკავებისა და მათი პატიმრობის საფუძველი, აშკარად განმარტავს, რომ ქმედებები, რომლებიც სავარაუდოდ, წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფას, უნდა იქნეს აცილებული თავიდან სასამართლოს მანდატურების მიერ და განაჩენის გამოტანა უნდა მოხდეს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, თუკი ეს ხდება სასამართლოს შენობის შიგნით (იხ. §67). რაც შეეხება სასამართლოს შეურაცხყოფასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევას, სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ახასიათებს მას, როგორც ბუნდოვანს (იხ. §47). მსგავს შემთხვევაში, სასამართლოს, კონვენციის მე-5 (§1) მუხლის ფარგლებში გამოტანილი მისი დასკვნების მსგავსად, გააჩნია სერიოზული ეჭვები იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივნებს წინასწარ უნდა განესაზღვრათ, რომ აქცია თბილისის სააპელაციო სასამართლოს შენობის გარეთ, ეზოში, გამოიწვევდა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას შიდა დებულებების ზემოხსნეული ფორმულირების მიხედვით (შედარებისთვის იხ. *mutatis mutandis*, with *Altuğ Taner Akçam v. Turkey*, no. 27520/07, §§ 92-95, 25 October 2011, and also *Amann v. Switzerland* [GC] no. 27798/95, §§ 78-80, ECHR 2000 II). თუმცა, ჩარევის აუცილებლობასთან მიმართებაში წარმოქმნილ უფრო აშკარა პრობლემასთან დაკავშირებით, სასამართლო არ მიიჩნევს მართებულად, მისი გადაწყვეტილება მხოლოდ ჩარევის კანონიერებამდე დაიყვანოს, კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად (იხ. with *Dink v. Turkey*, nos. 2668/07, 6102/08, 30079/08, 7072/09 and 7124/09, § 116, 14 September 2010, and *Hyde Park and Others v. Moldova* (nos. 5 and 6), nos. 6991/08 and 15084/08, § 48, 14 September 2010).

87. სასამართლოს შეუძლია, მიიღოს მთავრობის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სადავო ჩარევა ემსახურებოდა ლეგიტიმურ მიზანს - უწესრიგობის პრევენციასა და სასამართლო ხელისუფლების დაცვას. სასამართლო ხელისუფლების დაცვასთან დაკავშირებით, საფრთხის ქვეშაა ის რწმენა, რომელიც უნდა ჰქონდეს სასამართლოს მიმართ დემოკრატიულ საზოგადოებას (იხ. *mutatis mutandis*, among other authorities, *Fey v. Austria*, 24 February 1993, §30, Series A no. 255 A). სასამართლო მიიჩნევს, რომ შეფასებისას ის უნდა შეეხოს შემდეგ საკითხს: იყო თუ არა მსგავსი ზომის მიღება აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად (იხ. §47), სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ ამ თვალსაზრისით, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლება, როგორც გამოხატვის თავისუფლება, წარმოადგენს

დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველს. შესაბამისად, მხოლოდ რეალურად დამაჯერებელ და ანგარიშგასაწევ მიზეზებს შეუძლია გაამართლოს ამ უფლების განხორციელებაში ჩარევა (იხ. Djavit An, ხსენებული ზემოთ, §56, and Ouranio Toxo and Others v. Greece, no. 74989/01, §36, ECHR 2005 X (extracts)).

88. სასამართლო აღნიშნავს, რომ აქცია, რომელშიც ზუსტად ხუთი პირი მონაწილეობდა, ჩაშლილ იქნა მისი დაწყებიდან რამდენიმე წუთის შემდეგ; ძალზე მოკლე პერიოდში, მომჩივნებს შეეძლოთ წარმოეთქვათ რამდენიმე ლოზუნგი. ეს ფაქტები ბადებს ეჭვს მთავრობის იმ მტკიცებასთან მიმართებაში, რომელიც ეხება საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევას (შედარებისთვის იხ. Sergey Kuznetsov v. Russia, no. 10877/04, §44, 23 October 2008). სასამართლოს აზრით, ამ ლოზუნგების შინაარსი არ წარმოადგენს სასამართლოს შეურაცხყოფას ან მსგავს არასწორ ქმედებას. შესაბამისად, ლოზუნგების უმრავლესობა წარმოადგენდა კრიტიკულ ბუნდოვან შეფასებებს, რომლებშიც მომჩივნები იყენებდნენ გარკვეული ხარისხით გაზვიადებულ პოლიტიკური გამონათქვამებსა და უხემ სიტყვებს, რომლებიც მიმართული იყო საზოგადოების წუხილის საგნისკენ საქართველოში - სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისკენ და ამავე დროს, მომჩივნებმა მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ძალადობის ან დემოკრატიული პრინციპების უარყოფის გარეშე. სასამართლო კვლავ განმარტავს, რომ ამ თვალსაზრისით, სასამართლო ხელისუფლება ყველა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტთან ერთად, ვერ ასცდება კრიტიკას და ამ დროს შოკისმომგვრელი და მიუღებელი აზრები და სიტყვები შეიძლება იქნეს გამოყენებული (იხ. Sergey Kuznetsov, ხსენებული ზემოთ, §45, and Skatka v. Poland, no. 43425/98, §34, 27 May 2003).

89. სასამართლო აღნიშნავს, რომ ერთადერთი შეურაცხმყოფელი ფრაზა - „*ლავრენტი ბერიას ნაბიჭვარი*“, წარმოთქმული მომჩივნების მიერ აქციის დროს ეხებოდა შს მინისტრს. თუმცა, სასამართლოსთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ეს ფრაზა წარმოადგენდეს სასამართლოს შეურაცხყოფას, როდესაც ის მიმართული არ იყო სასამართლო ხელისუფლების წევრებისკენ (განსხვავება იხ. Skatka, ხსენებული ზემოთ, §36). ნებისმიერ შემთხვევაში, დემოკრატიულ საზოგადოებაში, დიდი მოთმინება უნდა გამოიჩინონ მსგავსი შეხედულებებისადმი, რომლებიც კრიტიკულია მნიშვნელოვანი სახელმწიფო მოხელეების მიმართ, მაშინაც კი, როდესაც მსგავსი აზრების გამოხატვა ხდება ასე აშკარად და პროვოკაციული გზით, როგორც ეს ამ შემთხვევაში მოხდა (იხ. Hyde Park and Others (nos. 5 and 6), ხსენებული ზემოთ §43, and Nilsen and Johnsen v. Norway [GC], no. 23118/93, §§ 52 and 53, ECHR 1999 VIII).

90. უფრო მეტიც, სასამართლოს შემფოთების საგანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა თავისი მოვალეობა და დაედგინა საფუძვლიანი მიზეზები, რომლებიც გაამართლებდა აქციის დაშლასა და მომჩივნებისთვის პატიმრობის შეფარდებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ, 2006წ. 29 ივნისის განკარგულებაში, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და სასამართლოს შეურაცხყოფასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის კვალიფიკაციის ზოგად და აბსტრაქტულ ტერმინებზე ისაუბრა

შიდა კანონმდებლობის მიხედვით. თავმჯდომარემ არ განმარტა, ინციდენტის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, თუ როგორ შეეშალა მართლწესრიგის უზრუნველყოფას ხელი და მომჩივნების მიერ წარმოთქმული რომელი კონკრეტული ფრაზები ჩაითვალა სასამართლოს შეურაცხყოფად; ერთადერთი, რასაც ის დაეყრდნო თავის გადაწყვეტილებაში, იყო ის განცხადება, რომ მომჩივნებმა გამართეს დემონსტრაცია „შენობის შიგნით, მის ცენტრალურ შემოსასვლელში“, რაც არ იყო სწორი და შესაბამისად, მიუღებელი არგუმენტია მე-11 (§2) მუხლის გამოყენების გასამართლებლად (იხ. სხვებს შორის, *Christian Democratic People's Party v. Moldova*, no. 28793/02, §70, ECHR 2006 II). შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ მომჩივანთა შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების განხორციელებაში შეზღუდვა ეყრდნობოდა შესაბამის და დამაჯერებელ საფუძვლებს (შეად. *Sergey Kuznetsov*, ხსენებული ზემოთ, §§ 40 and 45; and *The Sunday Times v. the United Kingdom* (no. 1), 26 April 1979, §§ 63 and 64, Series A no. 30).

91. სასამართლო გაცემას ვერ მალავს იმ ფაქტის გამო, რომ მომჩივანთა მხრიდან აქციის მიმდინარეობისას რაიმე ძალადობრივი ქმედების არარასებობის მიუხედავად, ისინი მაინც დაექვემდებარნენ ყველაზე მკაცრ სასჯელს, რომელიც გამოიყენება სადავო სამართალდაღვევისთვის, კერძოდ 30-დღიან თავისუფლების აღკვეთას (შეად. მაგალითისთვის ზემოთ მოყვანილი *Galstyan*, §116, რომლის დროსაც სასამართლომ დაადგინა, რომ თავისუფლების აღკვეთამ სამი დღის განმავლობაში, სანქცირებულ და მშვიდობიან ქუჩის დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების ცნება დააზიანა). მოცემულ შემთხვევაში, ზედმეტად მკაცრი სასჯელის ბოროტად გამოყენებას კიდევ უფრო ამძიმებს 2006წ. 29 ივნისის განკარგულებაში საკმარისი და ჯეროვანი მოტივების ზემოხსენებული არარსებობა.

92. ზემოხსენებული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს შესაბამისმა ორგანოებმა ვერ შეძლეს ემოქმედათ გაგებით და კეთილსინდისიერად შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლებასთან მიმართებაში, ვერ წარმოადგინეს საკმარისი და საფუძვლიანი მიზეზები, რომლებიც გაამართლებდა ჩარევას და გასცეს სანქცია, რომელიც არაპროპორციული იყო მოცემული გარემოებების გათვალისწინებით.

93. აქედან გამომდინარე, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას.

II. №7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის სავარაუდო დარღვევა

94. მომჩივნებმა პრეტენზია გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ მიეცათ მათ წინააღმდეგ გამოტანილი 2006წ. 29 ივნისის განკარგულების გასაჩივრების უფლება, რაც არ შეესაბამება №7 ოქმის მე-2 მუხლის დებულებას. აღნიშნული დებულება შემდეგნაირად იკითხება:

„1. ყველას, ვინც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, აქვს უფლება, მისი მსჯავრდება ან მისთვის დანიშნული სასჯელი გადაასინჯინოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. ამ უფლების განხორციელება, იმ საფუძვლების ჩათვლით, რომლებზე დაყრდნობითაც ის შეიძლება განხორციელდეს, მოწესრიგებულია კანონით.

2. ამ წესიდან გამონაკლისი მისაღებია მცირე მნიშვნელობის დანაშაულთა მიმართ, როგორც ეს განსაზღვრულია კანონით, ან როდესაც შესაბამისი პირი პირველი ინსტანციის წესით გაასამართლა უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ, ან მსჯავრი დაედო მის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენის გადასინჯვის შედეგად.“

95. მთავრობამ განაცხადა, რომ მოცემული დებულების დარღვევას ადგილი არ ჰქონია და რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ასკ-ის 279-ე მუხლის თანახმად, განიხილა 2006წ. 29 ივნისის განკარგულების წინააღმდეგ შეტანილი, მომჩივანთა 2006წ. 21 ივლისის სააპელაციო სარჩელი.

96. მომჩივნები არ დაეთანხმნენ, აცხადებდნენ რა, რომ მათი სააპელაციო სარჩელის განხილვა, ასკ-ს 279-ე მუხლის თანახმად, არ იყო ეფექტიანი, ვინაიდან ის დამოკიდებული იყო შესაბამისი ეროვნული ორგანოების დისკრეციულ უფლებაზე.

97. სასამართლო შენიშნავს, რომ სიტუაცია მოცემულ შემთხვევაში იდენტურია სასამართლოს მიერ განხილული ორი მნიშვნელოვანი საქმისა - *Gurepka v. Ukraine* (n° 61406/00, §§ 59-61, 6 September 2005) და *Galstyan* (ხსენებული ზემოთ, §§ 124-127). აღსანიშნავია, რომ წინამდებარე საქმეში, იმ ფაქტის მიუხედავად, რომ მომჩივანთა სააპელაციო სარჩელი განიხილა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, ასკ-ის 279-ე მუხლის თანახმად, შიდა კანონმდებლობაში არსებობს უჩვეულო კონტროლის პროცედურა, რომლის გამოყენება დამოკიდებულია შესაბამის ორგანოთა დისკრეციაზე, არ გააჩნია ნათლად განსაზღვრული პროცედურა ან ვადის ლიმიტი და წარმოადგენს არაეფექტიან შიდასამართლებრივ საშუალებას №7 ოქმის მე-2 მუხლის მიზნებისთვის (შეად. *Galstyan*, ხსენებული ზემოთ, §126, და *Gurepka*, აგრეთვე ხსენებული ზემოთ, §§ 60-61). უფრო მეტიც, სამართალდარღვევა, რომლისთვისაც მომჩივნები დაისაჯნენ 2006წ. 29 ივნისს, ამ სასჯელის სიმძიმის გათვალისწინებით, არ შეიძლება ჩაითვალოს „უმნიშვნელოდ“ და შესაბამისად, არ განეკუთვნება ამ დებულების მე-2 პარაგრაფით გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებს (*ibid.*).

98. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა №7 ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

99. კონვენციის მე-5 (§§ 2, 3, 4 და 5) მუხლზე განცალკევებით დაყრდნობით და ასევე, კონვენციის მე-13 მუხლთან ერთობლივად, მომჩივნებმა გაასაჩივრეს შიდა სამართალწარმოების პროცედურული უსამართლობის სხვადასხვა შემთხვევები, რაც ასევე მოიცავს 2006წ. 29 ივნისის განკარგულების წინააღმდეგ სააპელაციო სარჩელის შეტანის შეუძლებლობას.

100. თუმცა, კონვენციის მე-5 (§1) და მე-6 (§1) მუხლებისა და №7 ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებაში მისი დასკვნების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულ შემთხვევაში არის *lex specialis* მთავარ სამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში (შეად. Hakobyan and Others, ხსენებული ზემოთ, §§ 125-127 and 136; Galstyan, ხსენებული ზემოთ, §53; Gurepka, ხსენებული ზემოთ, §51; and Menesheva, ხსენებული ზემოთ, §§ 105-107), სასამართლო მიიჩნევს, რომ საჩივრის ეს ნაწილი, რომელიც უკვე განხილული საკითხების გამეორებას წარმოადგენს, უნდა იქნეს უარყოფილი როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის საფუძველზე.

IV. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

101. კონვენციის 41-ე მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასამართლებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

102. მომჩივნებმა მოითხოვეს 20.000 ევრო თითოეულისთვის, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

103. მთავრობამ მიიჩნია, რომ მომჩივანთა მოთხოვნები დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული იყო.

104. სასამართლოს არ აქვს ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ მომჩივნებმა განიცადეს სტრესი და იმედგაცრუება მათი სხვადასხვა უფლების დარღვევის გამო (იხ. §§ 71, 78, 93 და 98). ხელმძღვანელს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო თითოეულ მომჩივანს მიაკუთვნებს 6.000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, ასევე ნებისმიერ გადასახადს, რომელიც აღნიშნულ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

ბ. გაწეული ხარჯები და დანახარჯები

105. მომჩივნებმა მოითხოვეს 3.970 ევრო და 1.330 ბრიტანული ფუნტი სტერლინგი (1.667 ევრო) სასამართლოში მათი წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების მიზნით, კერძოდ ორი ქართველი და ერთი ბრიტანელი

ადვოკატისთვის (იხ. §2). ეს ორი ხარჯი შედგება დახარჯული საათებისა და ადვოკატების საათობრივი ანაზღაურებისგან - 79 საათი და 40 წუთი - 50 ევროს კურსით ქართველი ადვოკატებისთვის და 22 საათი - 100 ფუნტის 2006 წლის კურსით და 150 ფუნტის 2010 წლის კურსით - ბრიტანელი ადვოკატისთვის. დეტალური აღწერა მოიცავს თარიღებსა და იურიდიული მომსახურების ზუსტ სახეობას.

106. მომჩივნებმა ასევე მოითხოვეს 1.361,20 ლარი (657 ევრო) შესაბამისი ჩეკების საფუძველზე, საფოსტო და სათარჯიმნო ხარჯებისთვის. მათ აგრეთვე მოითხოვეს 592 ევრო და 160 ფუნტი სტერლინგი (200 ევრო) გარკვეული სხვა ხარჯებისთვის, რომელთა გაღება, სავარაუდოდ, მოხდა ქართველი და ბრიტანელი წარმომადგენლების მიერ საჩივარზე მუშაობის პროცესში, ამ მოთხოვნის გასამყარებლად, მათ ფინანსური დოკუმენტები არ წარმოუდგენიათ.

107. მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივანთა პრეტენზიები უმეტესად დაუსაბუთებელი და გადაჭარბებული იყო.

108. სასამართლო შენიშნავს, რომ საია-სა და EHRAC-ის ქართველმა და ბრიტანელი ადვოკატებმა მომჩივნებს გაუწიეს საჭირო იურიდიული დახმარება. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აგრეთვე აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ქართულ საქმეებში, მან დაადგინა, რომ ამ ორი NGO-ს ადვოკატთა გუნდი სამართალწარმოების დროს არ შეიძლება დარჩეს კომპენსაციის გარეშე და რომ ადვოკატთა მიერ შესრულებული სამუშაო და დახარჯული საათების დეტალური და სანდო აღწერა ამტკიცებს მომჩივანთა წარმომადგენლების მიერ გაწეულ ხარჯებს (იხ. Klaus and Yuri Kiladze v. Georgia, no. 7975/06, §§ 91-94, 2 February 2010, and Tsintsabadze v. Georgia, no. 35403/06, §105, 15 February 2011). აქედან გამომდინარე, სასამართლო მომჩივნებს მიაკუთვნებს 3.970 ევროს და 1.330 ფუნტ სტერლინგს (1.667 ევრო) მათ მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით, კერძოდ ორი ქართველი და ერთი ბრიტანელი ადვოკატისთვის.

109. ადმინისტრაციულ ხარჯებთან მიმართებაში, სასამართლო, ამ საკითხის შესახებ კარგად დამკვიდრებული პრაქტიკის გათვალისწინებით (იხ. Ghavtadze v. Georgia, no. 23204/07, §§ 118 and 120, 3 March 2009) და წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, მომჩივნებს მიაკუთვნებს 1.361,20 ლარს (657 ევრო) საფოსტო და სათარჯიმნო ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

გ. საურავი

110. სასამართლოს მიაჩნია, საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო, ერთხმად

1. აცხადებს მისაღებად კონვენციის მე-5 (§1), მე-6 (§§ 1 და 3 „c“), მე-10 და მე-11 მუხლებისა და №7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიებს, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილს - მიუღებლად;
2. ადგენს, რომ რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§1) მუხლის დარღვევას;
3. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას კონვენციის მე-6 (§3 „c“) მუხლთან ერთობლიობაში;
4. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას;
5. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა №7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას;
6. ადგენს, რომ არ არსებობს კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიის ცალკე განხილვის საჭიროება;
7. ერთხმად ადგენს, რომ
 - (ა) მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, მომჩივნებს უნდა გადაუხადოს შემდეგი თანხები:
 - (i) 6.000 (ექვსი ათასი) ევრო თითოეულ მომჩივანს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;
 - (ii) 5.957 (ხუთი ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი) ევრო ყველა მომჩივანს ერთობლივად, გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;
 - (ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი.

8. უარყოფს მომჩივანთა დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2012წ. 2 ოქტომბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლების შესაბამისად.

სანტიაგო კესადა
სექციის განმწესრიგებელი

ჯოზეპ კასადევალი
თავმჯდომარე